

კუკური და კუკურის გადასაცვლელი

№ 26.

10 სექტემბერი, 1922 წელი.

№ 26.

გაერთიანებული საქართველო

ბოლშევიკური საქართველო ეროვნული მთლიანობის კერათ გადაიქცა. არასოდეს ქართველ ხალხს არ უგრძევნია ასე მწვავეთ მოსკოვის ულელი, არასოდეს მის გულში არ დაბუღებულა ასეთი შეურიგებელი ვტრობა ჩრდილოეთის მეზობლისადმი, არასოდეს მისი ყველა სოციალური კლასები და ჯგუფები არ გაერთიანებულან ამ რიგათ ერთი გრძნობით და მისწრაფებით, როგორც დღეს.

ეს არ არის რასაკვირველია ბოლშევიკების წყალობა. პირიქით ეს ხდება მათ წინააღმდეგ, წინააღმდეგ მათი სურვილისა და მისწრაფებისა. ეს ხდება მათ შესამუშაოთ ტრავიდან მოსაცილებლათ. ამბობენ არ არის ბოროტება, რომელსაც დადგებითი მხარეც არ ქონდეს. ბოლშევიკების შემოსვევას რუსის ჯარით ჩვენში მოევა ეს კონსოლიდაცია ეროვნული სხეულის, ეს შეგნება ერის მიერ თავის მთლიანი სახის, თავის ორგანიული კავშირის, ამით რასაკვირველია არ მოსპობილა კლასიური განაწილება საზოგადოების. და არა, თუ არ მოსპობილა, გაძლიერდა კიდეც. მოსკოვის აგნოტები ყველან და ყოველთვის აკეთებენ წინააღმდეგ იმისა, რასაც ქადაგებენ. მათმა კომუნამ—ეს იგი თანასწორობის იდეამ მათ ხელში მოიტანა არა თანასწორობა, არამედ კლასთა კიდევ უძრო

დაშორება და მათ შორის უფსკრულის გაღრმავება. ბურჟუაზიის უარმყოფელნი, მათი ფიზიკურათ და არა მარტო ეკონომიკურათ მოსპობის მოციქულნი დღეს ქმნიან განსაკუთრებით პოხიერ, არა ჩვეულებრივ ნიადაგს ახალ ხოვბურჟუების წარმოშობის, უაღრეს სპეცულიაციის გაძლიერების და კაპიტალის პირველყოფილ ზაგროვების გმირთა თარებისათვის. ეს პროცესი ბურჟუაზიის გაძლიერების ფაზისთავათ აუცილებელი იყო. ბურჟუაზიულ რევოლუციას, რომელმაც ფერდალიშმის ნაშები აღმოფხვრა, სწორეთ ბურჟუაზიისათვის უნდა გადაეჭალა წინ ფართო ასპარეზი. და ჩვენ მათ დაშვებას კი არ ვუსაყველურებთ ბოლშევიკებს, არამედ იმას, რომ ბურჟუაზია ტრავაზლილია ჩვენში, მაშინ როდესაც ხალხი ბორილდა და გადადებული გმინავს უფლებობის და თვითნების მძიმე უდელ ქვეშ. ხალხისა და პროლეტარიატის, ამ რევოლუციის მთავარი ძალის და საზოგადოების გადახალისების მთავარი შემოგედის, ასეთ არასასურველ პირობებში ჩაეწება—აი რა მოჯვა იმ სიგრძის ტაქტიკას, იმ მოღალატეობას, რომელიც ჩაიდინეს კომუნისტური მისრებმა რუსეთშიაც და განსაკუთრებით ჩვენში აი რა არის შეუწყნარებელი და მიუტოვებელი ბრძოლა ნიუკ და იუნიტონიზაციის დემოკრატიული პოლიტიკა საქართველოს მთავრობის, რომელიც მიმართული იყო ბურ

ეუაზის განვითარების და გაძლიერების აუცილებელ პროცესში ხალხის ფართო მასშების, და განსაკუთრებით პროლეტარიატის ინტერესების დაცისაკენ, რომელიც ცდილობდა ეს აუცილებელი ეტაპი საზოგადოებრივ განვითარების, ეს გზა მისი გაევროპიელების, რაც შეიძლება ნაკლებ მრკვენეული კოფილიც ხალხისთვის—დღეს დამარხული და უარყოფილია. თავის ხელისუფლების შესაჩენათ და პირადი, ჯგუფობრივი და ამიტომ ანტიხალხური ინტერესების დასაცვლათ, ტანჯვაწამების ცეცხლს უდებენ დღეს მთელ დღეს ხალხს, ახშობენ და სორგუნავენ მის დემოკრატიულ სულისკვეთებას, მის რევოლუციურ აღმაფრენას.

თავაშვებული ბურჟუაზია—აღირ—ასწილი სპეცულიანტები და ხელფეხვერული მშრომელი ხალხი, აი ბოლშევიკების მოღვაწეობის რეალური სურათი.

მაგრამ ეს მოსკოვის აგენტები და საქართველოს შერტვენილი, ულიოსი ნაშერჩი, წარმოადგენენ არა მარტო ანტიდემოკრატიულ, არამედ იმავე დროს ანტინაციონალურ ძალას. და ეს არა იმიტომ, რომ დღეს ერთ—ეს დემოკრატია და მის წინააღმდეგ ბრძოლა—ერთან ბრძოლაა.

არა, მოსკოვის აგენტები—საერთო ებრძინიან ყველაფერ ქართულს. მათ რომ თუნდუხეში სახით და უმსგავსო ტორმით, როგორც ეს ხდება რუსეთში, შეექმნათ აღვილობრივი ბურჟუაზის ძლიერი კლასი, შეიძლება ამით ერთგან დროებით დამცველს და მფარველს მაინც მოიპოვებდენ, როგორც ეს მოიპოვა დღეს მოსკოვის კომისარებმა, რომელთაც ჯვალაშე ენერგიულათ ესარჩევა დღეს ეს გამდიდრებული სოვ-ბური, ეს მოქეთვე და ხალხის მარკველი, ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის მაპინჯი წარმომადგენერო.

რუსეთში კომუნიზმი სტრუქტებს ამიტომ თვის ძეველ ბაზას, თავს ანებებს მუშათა და გლეხთა შეუგნებელ მასშებზე დაცრდნობას და ახალ სოციალურ წრეს, სოვებურებს უკაშირებს თავის ბედის მომავალს. ეს დღეს კველაზე თვალსაჩინო პროცესის რუსეთის სინამდვილის, რომელიც ხალ-ზე გენერირებული და ჩრდილი აუფარებელი წარმომადგენეროდა და ჩრდილი და ჩრდილი წარმომადგენეროდა. ეს გვიცის წინაშე ხალ-ზე გენერირებული წარმომადგენეროდა და ჩრდილი და ჩრდილი წარმომადგენეროდა.

ხევის» ტაქტიკას და სხვ. ასეთ მორცეულობის ეფარება უკან ფრთხილათ და ჩუმათ.

და თვით საქართველოს დაპრობის აქტები იმ ახალი «სოვებურის ინტერესების» დასაცელათ იქ წარმოებული და არა «კომუნიზმის» სასახელოთ, როგორც ამას ქადაგდენ ბოლშევიკები. მაგრამ სწორეთ ამიტომ, საქართველო უკრ მისცემს ბოლშევიკებს გერც იმის იმდღს, რომ მათ თუნდ ახალ სოვებურებში გაუწინდებან მომხრე და მოამაგე. მათი უცხო ძალით შემოსვლა—ეს უკავი უცხო «სოვებურებისთვის» შუშაობაა. საქართველოს რევკომის ეკონომიური პოლიტიკა—ეს მოსკოვის კოლონალური პოლიტიკა, ეს კმის მუშაობაა ბატონის სასახელბოლოთ.

საქართველოში თარეშობს სოვებური და ზეიმობს სპეცულიაცია, მაგრამ ესაა ზეიმიდა თარეში უცხოელის, გარედან მოსულის, იმ ჯარს შემოყოლილი ელემენტების, რომელსაც ქართველი მოლალატენი მოუძღვნდენ. საერთო «ვნეშტორგი», საერთო საგარეო ვაჭრობა, რომელიც პირველივლისა იქნა განხორციელდული ოკუპანტების მიერ, წინადაღება მაღალ ფულის ნიშნების გაერთიანების—გავლივე ეს მომახავებელია ამ ურავი და უტეშარი ტენდენციის,—რომელიც ორი სიღრღვით გამოიხატება: საქართველო პურია რუსეთის სპეცულიანტების, უცხოეთიდან მოგვანილი და შემოჩენილი ელემენტების.

ანტიერვნულ პოლიტიკის ლოლიკა შოთავდა სწორეთ ამ ელემენტებზე და რძნობას და მათ გაძლიერებას. და აი ჩენ გხედავთ, რომ სომეხი, რუსი—ებრაელი სპეცულიანტი გაბრინებულია ქართველ ხალხზე განსაკუთრებით ეს სჩანს თფილისა და ბათუმში. კლასიურ წინააღმდეგობას ამით ეროვნული სახე ეძლევა და კლასობრივი ბრძოლა თავისთავათ იღებს ეროვნულ ბრძოლის ხასიათს.

და რა გასაკვირველია, რომ ასეთ ნივალებზე წარმოიშვა მთლიანი ფრთხილი ქართველი ხალხის; ერთ იქცა ერთ მთლიან, განუსრელ ორგანიზმათ, და მუშათა დემოკრატია, ეს თავის-თავთ ინტერნაციონალური ძალა, გამოდის ეროვნულ როლში როგორც მთელი ერის წინამდლობი, მისი ჭირისა და ვარამის გამზიარებელი და მალამოს დამდები.

და როგორიც უნდა იყოს შეზღა-შემოხსელი

ქართველ პარტიათა შორის, როგორც უნდა იყოს სურვილი თავის პოლიტიკურ მიმღინა- რებისთვის უპირატესობის მოვლენების—თავის მეთოდის და მსოფლმხედველობის გავლენის გაძლიერების, ცალია იგი ამ დიად ისტორიულ დროშას ვერ გადაუხვევს, იგი ჯგუფობრივ კინკლაობის ფარგალს ვერ გასცდება, და ფარ- თე საზოგადოებრივ ხასიათს ვერ მიიღებს. და ვინც ასეთ კინკლაობას სერიოზულად გამოუ- დგება, იგი მხოლოდ თავის უსუსურობას და- ამტკიცებს და «თავის საქმეს» დასამარებს, ქარ- თველი ხალხი მათ ამას აქტივური არ ჩაუწერს.

ერს დღეს განთავისუფლება ესაჭიროება, ისე, როგორც ჰაერი სასუნთქავათ და ნიადაგი საარ- სებოთ. მხოლოდ ამის მოპოვების შემდეგ მოხ- დება შინაგან კლასიურ წინააღმდეგობათა გადა- შლა და მოპირდაპირ ძალთა შეჯახება, ესე იგი დაიწევა ერის შიგნი ის ცხოველმოოფელი ბრძო- ლა, რომელიც თავდებია ერის პროგრესის და უკეთეს მომავლის გამოცედვის. დღეს კი განსხვა- ვება კლასთა შორის, მიუხდავათ მისი სიღრ- მისა და სიგართოვისა, ამ საერთო და ჯველა- სათვის საჭირობო საკითხით დაფარულია, ვი- ნაიდან თვით კლასიური ინტერესი თვითეულის ერის შიგნი—მუშის, გლების, მრეწველის, მო- ითხოვს ერთს: უცხო ულელის თავიდან მოშო- რებას.

ქართველ ერს აქვს დიდი წარსული, უზომო რევოლუციური ენერგია და გალვიძებული ცხოველი ინტერესი დემოკრატიული, კულტუ- რულ ცხოვრების წარმოების. მას აქვს უნარი თვითარესებობის! რევოლუციის ქარტებილში დამახა მან მორჩილების და მონაბის უკანა- სკენერი ნაშთები, ასი წლის «განცხრომთ» ცხოვრებაში შეძენილი. და იგი ამიერიდან სხვას ვერ დაემონიქნება. ან თავისუფლება, ან სიკედილი, ასეთია დილემა და ჩვენ გვწამს, რომ სიკედილი არ გვიწერია.

მოს ეკონომიკური უძღვებელი.

მსოფლიო კრიზისი.

უკრაპის უკანასკნელ დიდი ამის შედეგებშა თავისი საშინელებით ცხველა წინადელ მოებს გადააჭარბა; არც გასაკვირველია. კაცობრიო-

ბის ისტორიას ამ ომის მსგავსი არა უნა- ხავს რა. მთელი დედამიწის მცხოვრებთა რი- ცხვიდან (1.744.300.000), ამ ომში მონაწი- ლე ქვეწების მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს 1.550.500.000; გერმანიის კოსტიუმის, რო- მელიც ოთხი სახელმწიფოდან შესდგებოდა, ოფიციალურათ ომი გამოუცხადა 30-მა დი- დმა და პატარა სახელმწიფომ. მართლია, ამ 30 სახელმწიფოდან ინარალით ხელში მხო- ლოდ 12 ებრძოდა გერმანიას და ვის მოკავში- რებს (ხოლო დანარჩენები დაკმარტილდენ თავიანთ ქვეწებში გერმანელთა ქონების და- ტაცებით და გერმანიასთან წინეთ დადებულ ხელშეკრლების გაბათილებით), მაგრამ ომის ბეღილბლით ცხველანი დაინტერესებული იგნენ და შეძლების და გვარათ ხელს უწიობდენ ანტა- ნტის გამარჯვებას. ამნაირათ ამ ომში ჩამოუ- ლი აღმოჩნდა მცირე გამოკლებით მთელი მო- ფლიონ. აშკარაა, რომ ასეთი მასშტაბის რმი თავის გავლენის გარეშე არ დატოვებდა არც ორიოდე ნეიტრალ სახელმწიფოს. ამ უსაშინე- ლესმა მმმა დარღვენა მსოფლიო მეურნეობის მთლიანობა, რომელიცამ 40-50 წლის ვეკ- ნომიურ-კულტურულმა განვითარებამ წარმოშ- ვა. მაგრამ კარჩაკეტილი ცხოვრება დღეს არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია, სამუდამოთ წავიდა ის დრო, როდესც თვითეული ქვეანა, —და ზშირათ ერთი ქვეწის თვითეული კუთ- ხეებიც, —თავისი საკუთრი ეკონომიური და კულტურული ცხოვრებით კმარტილდებოდა; მსოფლიოს დღევანდელი მეურნეობა ერთ მთელს წარმოადგენს და შეუძლებელია რომელიმე ერ- თი ნაწილის დაზიანებამ მთელი სხეულში არ პოვის გამოძახილი. ამ მმმა კი დააჭიანა და გაანადგურა მსოფლიო მეურნეობის უღიძესი ნაწილი და მის ვიერ გამოცვეული ტკივილები საშინელ ტანჯვას აუნებს მთელ კაცობრიობას. —გართალია, სანამ ზარბაზნების ჭექ-ჭეხრი მსოფლიოს აღრუებდა, მმმს გარეშე წევიტრა- ური და ზოგი ამის მონაწილე სახელმწიფო- ნიც თავს შედინირათ გრძნობდენ და ელვისე- ბურის სისწავით მღილდებოდენ, მაგრამ გა- თავდა თუ არა მმი, ამ ქვეწების განცხომა- საც საზღვარი დაედო, კიდევ მეტი: განცხომა საშინელმა საფრთხემ შესცვალა: მთელი მსო- ფლიონ უმაგალითო ეკონომიურმა კრიზისია მოიცა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თავდაპირველათ კრიზისმა იჩინა თავი ეკონომიურათ უფრო ძლიერ და მდიდარ სახელმწიფო იყობში—იაპონიაში, ჩროილდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ინგლისში; თუმცა სამიერ უკანასკნელნი ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, მაგრამ მათთვის ომს საგრძნობი წარალი არ მიუყენებია, პირიქით იაპონია და ჩრდილოეთ ამერიკის შტატები იმის განმავლობაში საზღვროთ გამდიდრდენ, და მხოლოდ ინგლისი და ზარალდა, მაგრამ შედარებით ძალიან ცოტა.

ომის განმავლობაში იაპონის წარმოებამ საზღვრო აყვავება იგემა; 1915-დან 1919 წლამდე მან უცხოეთში გაიტანა 1.100 მილიონ იენის¹⁾ საქონლით უფრო მეტი, ვინერ უცხოეთიდან თავის ქვედანაში შეიტანა; მისი ოქროს ფონდი იმის დიწყებისას 376 მილიონ იენს უდრიდა, ხოლო 1919 წელში კი 2.059 მილიონამდე²⁾ ავიდა. დიდალი ფულის დაგროვებამ და ბანკების მიერ საანგარიშო პროცენტის დაკლებამ ირთი მხრივ ხელი შეუწიო წარმოების სწრაფ განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ სპეციალისტის ხელსაურელი პირობები შექმნა. ფასების შეუწივეტელი ზრდით გათამაშებული ვაჭრები არ აჩქარებდნ საქონლის გაყიდვას, პირიქით, ფასების კიდევ უფრო გაზრდის მოლოდინში თავიანთ საწარმებში აგროვებდნ საქონელს და დიდ მოგებებზე ოცნებობდნ; 1919 წლის იენისში საწყობებში დავროვილ საქონლის ლირებულება 646 მილიონ იენს უდრიდა, 1920 წლის იანვარში 765 მილიონს, ხოლო მაჩტში კი 1.091 მილიონამდე ავიდა³⁾.

მაგრამ დიდი მოგების უსაზღვრო მადით შეკრობილ სპეციალისტებს ანგარიში არ გაუმართდა; ფასების ზრდას აქვს თავისი საზღვარი, რომლის იქეთ სულ წინააღმდეგი მოვლენა იწყება. ბაზარზე საქონლის ფასები დამკიდებულია მოთხოვნილება—მიწოდებაზე; თუ საქონლის მოთხოვნილება სკარბობს მის მიწოდებას, საქონლის ფასი ზევით მიდის, პირიქით—ფასები ეცემა, როცესაც მისი მოთხოვნილება მიწოდებაზე ნაკლებია.

1) იაპონური იენი ცრდის ოქროზე 97 კავიები.

2) პრივ.-დოკუმენტი ს. ა. ზაგარის კი „მეუღლენარიდნია ეკონომისტება პრიმერები“, გვ. 53.

3) იქვე, გვ. 53.

იაპონიამ, როგორც ზევით დავინახეთ, უკანასკნელ წლებში დიდალი საქონელი დაგროვა და სწორედ ამ დროს ბაზარზე საქონლის მოთხოვნილება შემცირდა. საქონლის მოთხოვნილების შემცირებაზე გადამტკრელი გავლენა იქონია ერთი მხრივ ევროპის მეომარ სახელმწიფოების გაღატაკებამ და მათი მყიდველობითი უნარის ძალზე დაცემამ, ხოლო მეორე მხრივ იაპონიის ფულის მაღალმა კურსმა. ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ იაპონიის საქონლის გატანამ იყლა: თუ მას წინა წლების განმავლობაში გაცილებით უფრო მეტი საქონელი გაქონდა სხვა ქვეყნებში, ვინერ თავის ქვედანაში შექონდა, ახლა უკვე წინააღმდეგმა მოვლენამ იჩინა თავი, და მის სავაჭრო ბალანსში მოგების ადგილი წარალმა დაიკავა. დარიწვი ფასების ისეთივე სწრაფი დაცემა, როგორის სისტრატიული იგი ზევით იწვევდა წინა წლების განმავლობაში. ფასების პირები კატასტროფიული დაცემა იაპონურ აბრეშუმეულობას ხვთა წილათ, ხოლო აბრეშუმეულობას იაპონიის საგარეო გაჭრობაში თითქმის პირები ადგილი უკავა; 1920 წლის აპრილში ნიუიორკის ბაზარზე იაპონურ აბრეშუმების ფასი 16 დოლარიდან $9\frac{1}{2}$ დოლარამდე⁴⁾ დაეცა. აბრეშუმეულობის ფასების დაცემას დაუყონებივ მოყვა საზოგადო კოველგვარ საქონლის ფასების დაცემა; ბაზარზე საშინელი პანიკა გამეფდა, საწოდებებში მიმარტული საქონელი ერთბაშათ გამოისროლეს ბაზარზე, რამაც ფასები კიდევ უფრო დაბლა დასწია. ვაჭრობის კრიზისს თან მოევა წარმოების კრიზისი; რაკინ დამზადებული საქონელი არ საღება და მისი ფასი დღითი დღე ცცემა, ეჭვს გარეშევა, უნდა გაქრეს კოველგვარი ხალისი ახალი საქონლის დამზადების. ასე მოხატა იაპონიაშიც: დაშინებული მწარმოებელი შეუდგა წარმოების შემცირებას, ზოგმა საწარმოვალ დაწესებულებამ სრულიად შეწვიტა მუშაობა. კრიზისის დაწყებიდან პირებელი ხუთი თვის განმავლობაში—აპრილიდან მაისამდე—უმუშევრად დარჩა 109.213 მუშა; ნოემბერში აბრეშუმეულობის ეკსპორტიორთა კავშირმა, რომლის 3.047 წარმოებაში 304.021 კაცი მუშაობდა, დაათვინა წარმოების ორი თვით სრულიად შეჩერება.

4) დოლარიზროვნი. მეტე. შეერთებულ შტატების ფულის ერთეულია და ოქროზე უდრის 1 მ. და 95 კოპ.



უმუშევრობამ საშიში ხასიათი მიიღო, უმუშევრობა რიცხვი დღითი დღე იწრდებოდა და სამუშაო ხელფასს სცემდა, მუშაო წრეებს სიმშილის საფრთხე მოვლინა. ამავე დროს ვაჭარმრეწველთა ზარალი 300 მილიონ იქნამდე ავიდა და მათი მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიული იყო, რომ მთავრობა არ მიშევრებოდა და 250 მილიონი იქნა არ მიეცა მათ-თვის სუბსიდიის სახით. მუშებს კითავის გაჭირვება არვინ შეუშებუქა.

(შემდეგი იქნება) ინ-ჭარი.

არმია ჩდულებული გახდა ხელი ფერო მის და-კურობაზე და ეს მთიანი ნაწილი საქართველოსი თავისუფალი დარჩა. ამ დემონსტრაციების და შეიარაღებულ გამოსვლების ლოცუნგია — რესის ჯარების გაცვანა საქართველოდან და დემოკრატიული რეეიმის აღდგენა.

მხოლოდ და მხოლოდ ტერორის საშვალებით ახორციელებენ თავის ბატონობას თფილისში მოკალათებული მოსკოვის მოხელენი. ცოველგარი თავისუფლება მოსპობილია. უფლება და მართლმსაჯულება უქცევებ გათელილია. კანონია არსებობს მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ის გამოსადეგია დაშტერობელისა და მისი აგენტების ინტერესებისათვის. ეგრეთ წოდებული საბჭოთა არჩევნები სინამდვილეში წარმოადგენს საკუპაციო მართველობის მიერ თავისი ხალხის წევიდან დანიშვნას. პროტესტის ცოველ აქტი ბარბაროსული წომებით ახშობენ. უცხოელებისა და ძველი მორიტომექმდლაგან შემდგარი ჩეკა აწარმოებს ისეთ ტერორს, რომლის მსგავსი საქართველოს ისტორიას არ ასრულს; რკინის გზის, ტრამვაის, საჩელმწიფო საკუთრებათ გამოცხადებულ წარმოების და დაწესებულებების მუშებს; სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეებს ითხოვენ უბრალო იქვით, ან გადაჭვათ რუსეთში, ვითომდა სამსახურის საჭიროებისათვის, ხოლო მათ გაგირა უცხოელებს ნიშნავენ. ციხეები სავსეა ტუსალებით, რომელთაც თითქმის არავითარ სარჩეოს არ აძლევენ და რომელიც შიმშილის და კიბიდების მსხვერპლი წდებიან. ერის საუკეთესო შვილები, დამდუძნებელ კრების წევრები, ცნობილი ინტელიგენტები, ეროვნულ ჯარის აფიცრები, შეგნებული მუშები და გლეხები — ასეთია ტუსალების შემადგენლობა. უმეტესი ნაწილი ამათგან დატუსალებულია იკუპაციის პირველ დღეებიდან, და დღემდე არ არა თუ სამართალში არიან მიცემული, არც რაიმე ბრალდება აჯვით წაცენებული.

ამაწლის 25 და 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე, ხალხში მოინდომა ამ ისტორიული დღის დღესასწაულობა მშვიდობინი მანიფესტაციით. მაგრამ საკუპაციის მთავრობამ ჯერ შეურაცყო მათი ეროვნული გრძნობა იმით, რომ დადგინა: დამოუკიდებლობის ნამდვილ დღეთ უნდა ჩაითვალოს

25 თებერვალი, ე. ი. რუსის წითელი ჯარის

მეორანდუში

საქართველოს რესპუბლიკის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, წარდგენილი საქართველოს მთავრობის სახელით ერთა ლიგის საზოგადო კრებისათვის, რომელიც გაიხსნა შენევაში

4 სექტემბერის 1922 წელს.

იმ მომენტისათვის, როცა ერთა ლიგა მართავდა საზოგადო კრებას უენერაში სასამართლო კითხვების განსახილებით, საქართველოს მთავრობას საჭიროდ მიაწინა ერთხელ კიდევ მიაქციოს მაღალი ცრილობის ცურადლება საქართველოს მდგომარეობას და გააცნოს მას ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ კვებანაში 1921 წელს სექტემბერში მომხდარ ლიგის საერთო კრებას შემდეგ:

დღიდან რეს ბოლშევკურ ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციისა, რომელიც მოხდა მიუხედავათ მოსკოვის მთავრობის მიერ დადებულ ხელშეკრულებისა, ქართველი ხალხი შემთხვევას არ უშვებს კოველი შესაძლებელი საშუალებით გამოააშარავოს თავის წინააღმდეგობა ამ რეეიმისადმი, რომელიც მას ძალადობის საშვალებით მოახვიეს თავს უცხო ძალებმა. დემონსტრაციებით, მანიფესტაციებით და გაფიცვებით მან შრავალჯერ გამოხატა თავისი მტრული განწყობილება ოკუპანტების მიმართ და თვალსაჩინო გახადა ერის ცველა კლასების და ცველა პოლიტიკური პარტების გაერთიანება საბჭოთა რეეიმის წინააღმდეგ. ზოგიერთ მხარეებში შეიარაღებულ გამოსვლებაც ქონდა ადგილი. მაგალითად, სვანეთში ბრძოლამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ წითელი

არმია ჩდულებული გახდა ხელი ფერო მის დაკურობაზე და ეს მთიანი ნაწილი საქართველოსი თავისუფალი დარჩა. ამ დემონსტრაციების და შეიარაღებულ გამოსვლების ლოცუნგია — რესის ჯარების გაცვანა საქართველოდან და დემოკრატიული რეეიმის აღდგენა.

მხოლოდ და მხოლოდ ტერორის საშვალებით ახორციელებენ თავის ბატონობას თფილისში მოკალათებული მოსკოვის მოხელენი. ცოველგარი თავისუფლება მოსპობილია. უფლება და მართლმსაჯულება უქცევებ გათელილია. კანონია არსებობს მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ის გამოსადეგია დაშტერობელისა და მისი აგენტების ინტერესებისათვის. ეგრეთ წოდებული საბჭოთა არჩევნები სინამდვილეში წარმოადგენს საკუპაციო მართველობის მიერ თავისი ხალხის წევიდან დანიშვნას. პროტესტის ცოველ აქტი ბარბაროსული წომებით ახშობენ. უცხოელებისა და ძველი მორიტომექმდლაგან შემდგარი ჩეკა აწარმოებს ისეთ ტერორს, რომლის მსგავსი საქართველოს ისტორიას არ ასრულს; რკინის გზის, ტრამვაის, საჩელმწიფო საკუთრებათ გამოცხადებულ წარმოების და დაწესებულებების მუშებს; სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეებს ითხოვენ უბრალო იქვით, ან გადაჭვათ რუსეთში, ვითომდა სამსახურის საჭიროებისათვის, ხოლო მათ გაგირა უცხოელებს ნიშნავენ. ციხეები სავსეა ტუსალებით, რომელთაც თითქმის არავითარ სარჩეოს არ აძლევენ და რომელიც შიმშილის და კიბიდების მსხვერპლი წდებიან. ერის საუკეთესო შვილები, დამდუძნებელ კრების წევრები, ცნობილი ინტელიგენტები, ეროვნულ ჯარის აფიცრები, შეგნებული მუშები და გლეხები — ასეთია ტუსალების შემადგენლობა. უმეტესი ნაწილი ამათგან დატუსალებულია იკუპაციის პირველ დღეებიდან, და დღემდე არ არა თუ სამართალში არიან მიცემული, არც რაიმე ბრალდება აჯვით წაცენებული.

ამაწლის 25 და 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე, ხალხში მოინდომა ამ ისტორიული დღის დღესასწაულობა მშვიდობინი მანიფესტაციით. მაგრამ საკუპაციის მთავრობამ ჯერ შეურაცყო მათი ეროვნული გრძნობა იმით, რომ დადგინა: დამოუკიდებლობის ნამდვილ დღეთ უნდა ჩაითვალოს

25 თებერვალი, ე. ი. რუსის წითელი ჯარის

საქართველოს დედა-ქალაქში, თფილისში შესვლის დღე და არა 26 მაისიონ და შემდეგ უმაგალითო ძალმომრეობას მიმართა: ყოველ თუნდ ჭირე შეკრებილებას იარაღით ფარატავდენ, მშვიდობიან მცხოვრებლებს ტყვიით უმასპინძლდებოდენ, ბომბებიც კი ესროლეს, რასაც მრავალი მსხვერპლი მოვა—დაჭრილნი და დახოცილნი. დაჭრილებს სცემეს, ათრიეს და შემდეგ ჩეკას სარდაფებში ჩაეარეს, საცა მათზე ხელახალ ძალმომრეობას ხმარობდენ.

იმავე დროს, როცა ასეთ ბარბაროსობას სჩადიან მცხოვრებთა მიმართ, სძარცვავენ, აოხრებენ და ანგრევენ ქვენის ავლადიდგებას, საოკუპაციო მართველობას, რომელსაც არ სწამს არც ეროვნული სიმდიდრე არც ქვენის მომავალი, გააქვს რუსეთში ყოველივე, რის გატანაც შეიძლება, ფლანგავს ინდივიდუალურ და კოლექტურ ქონებას.

ამგვარათ, რუსეთის ხელისუფლების მიერ მოსასპობად განწირული საქართველოს სურათი დღეს სრულიად გამოცვლილია. ზოგიერთ პროვინციებში შიმშილი მძვინვარებს. თვით ბოლშევიკურ მართველობის მიერ შედგენილი მოხსენება აღიარებს, რომ დაშეულთა რიცხვი 250,000 კაცამდე აღწევს. ეპიდემიები თანდათან ფეხს იყიდებენ, სანიტარულ ზომებს კი არავინ იღებს, მედიკამენტები არ მოიპოვება, რის გამო სნეულების მსხვერპლთა რიცხვი სისტემატიურათ მრავლდება.

ამსტერდამის სინდიკალურ ინტერნაციონალის დელეგატმა, ბ. ბრაუნტალმა, რომელსაც მინდობილი ქონდა საქართველოსათვის წამლების მიწოდება, გამოაქვეყნა საქართველოდან ზაბრუნებისას დღევანდელ საქართველოს სამწუხარო სურათი: «განადგურება, განადგურება, უნივერსო განადგურება, ამბობს ის, აი შთაბეჭდილება, რომელსაც იღებს საქართველოში ჩასული კაცი. ქუჩები, სახლები, სახელმწიფო დაწესებულებების შენობები, ბინები, ავეჯი, მაგიდები, სკამები, ტანთაცმელი, საცელები, ფეხსაცმლები—ყველაფერი დანგრეული, დაფლეთილი, გაცვეთილი, გაოხრებული, განადგურებული».

ბ. სერგი, ბეჭდილი, რომელსაც სპეციალური მისია ქონდა მინდობილი საერთაშორისო კოოპერატივების მიერ საქართველოს კოოპერატივების წინაშე, თავის მოხსენებაში ას-

წერს უსაზღვრო სილატაკეს, რომელიც უკავშირდება თველოში მეფობს, და ადარებს ამ ქვენის მდგომარეობას ბელგიის იმ ხანას, როცა ეს უკანასკნელი გერმანელთა ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა.

მოითხოვთ მისი მიზანი და მიზანი ამგვარათ,

საქართველოს ოკუპაცია არის მოსკოვის რეიიმის ბატონობა, ეროვნული და მარტერიალური კულტურის განადგურება.

იმ თავით ბოლშევიკები შეეცადნ დაემალათ თავის ბოროტმოქედება, შეოთხეს ზღაპარი, თითქოს საქართველოში შინაური რევოლუცია მომხდარი იყოს. მოსკოვმა ამდაგვარათ აალაპარაკა საერთაშორისო კომუნისტური პრესა: მაგრამ სიმართლის დამალვა შეუძლებელი გახდა.

ბ. ტროცკი თავის წიგნში, რომელიც საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული, და ბ. რადეკი თავის სიტრაში სამი ინტერნაციონალების კრებაზე, იძულებული გახდენ ალექსანდრით, რომ საქართველო ნართლაც წითელმა არმიამ დაპურო. ესც რომ ამ ცრტილიკ მოსკოვის მთავრობის აგენტმა, რომელიც ოკუპაციის პირველ დღიდანვე საქართველოს «რევკომის» თავმჯდომარეთ დაინიშნა, ფ. მახარაძემ თავის მოხსენებაში რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრ. კომიტეტისადმი განცხადა, რომ «როდესაც დაიწყო წითელი ჯარის შეტევა, ამ შეტევის მიზანსა და განზრავაზე არც ერთმა იაჩიეოდა, წარმომადგინეთ, პარტიის არც ერთმა წევრმა საქართველოში არადერი იყოდა და იჭვიც კი არ ქონდა. საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ და საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებამ მიიღო აშეარა გარედან დაპურობის ხასიათი, ვინაიდნ შიგნით ამ დროს არავინ არც კი იტერობდა აჯანცების შეწყობაზე. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ ალმოჩნდა არც პარტიული იაჩიეოა, არც მეტიც რომ არა ვთქვათ, პარტიის ცალკე წევრი, რომელსაც შეძლებოდა უფლების ორგანიზაციის მოწინააღმდეგმა ელემენტებმა».

იმის დასამტკიცებლათ ევროპისათვის, თუ რამდენათ მტრულათაა განწიობილი ქართველი ხალხი ბოლშევიკურ რევიმისადმი, ეროვნულმა მთავრობამ ჯველა პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმებით რამდენიმეჯერ მოითხოვა ად-



გილობრივ საერთაშორისო საანტერ კომისიის განვაჭნა. ბოლოს და ბოლოს მოსკოვი 3 ინტერნაციონალის კრებაზე ბერლინში თავის წარმომადგენლის პირით დასთანხმდა ეს კითხვა განხილა «9-თა კომისია», მაგრამ თვისი ჩვეულებისამებრ მან სიტუაცია არ შეასრულა.

კანის, გენუის და ჰავაიის კონფერენციებზე, როცა იხილავდენ რუსეთის პრობლემას, აუცილებლათ უნდა შეხებოდენ საქართველოს საკიონს, თუმცა ეს ქვევანა არ იყო წარმოდგენილი ამ კონფერენციებზე, რადგან კანის კონფერენციის დადგენილების თანახმად ეს სახელმწიფო აზიის სახელმწიფოთა რიგში ჩარიცხეს. საქართველომ წარადგინა ამ კონფერენციაზე თავისი საჩიტარი და პროტესტები თავივისი კანონიერი მთავრობის მემორანდუმის, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიათა დეკლარაციების, ექლესიის ხელმძღვანელის პროტესტის სახით; ის ადვენებდა თვალიურს კონფერენციების შემთხვევას იმ იმედით, რომ განათლებული ერები არ დასტოვებდენ უცურადებოთ ბოლშევიკების ბოროტმოქმედებას და მოითხოვდენ საქართველოდან რუსის ჯარების გაცვანას, როგორც საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის განახლების პირობას.

მოსკოვის მთავრობა თავის მხრით შეეცადა რუსის დელეგაცია მიეღებინებია გენუის კონფერენციისთვის, როგორც საქართველოს წარმომადგენელი. ამ ცდამ მიზანს ვერ მიაღწია; კონფერენცია კანის დადგენილების ნიადაგზე დარჩა. მაგრამ როცა სვანეთის აჯანცებას და საოცეპაციო მართველობის მიერ მის წინააღმდეგ მიღებულ რეპრესიულ ზომების გამო რუსეთის საკითხის მცირე კომისიამ საქართველოს ეროვნულ მთავრობის თხოვნით მიმართა რუსეთის დელეგაციას, რათა ბოლო მოელოთ სისხლის ლერისათვის,—ბ. ჩიჩერინმა კონფერენციისათვის გადაცემულ უტუაზ საბუთების მიუხედავათ უარყო ფაქტები და სიტუაცია ბანზე ააგდო: წამოაცენა ზოგადი საკითხი და გადაცემულ უტუაზ სამართლის მიერ გენერალი ერების» შესახებ და ბრალდება წაუყენა კონფერენციაზე დამსწრე სახელმწიფოებს, თქვენ თვითონ დაპყრობილი გყავთ სხვა და სხვა ერები.

შემდევ რუსეთის დელეგაციამ გამართა კავკასიის სიმდიდრეებით (ნავთონ, შავი ქიო...) ვაჭრობა კრედიტების მისაღებათ და ბოლშევიკურ ძალა-უფლების გასამაგრებლათ.

დღეს ცველასათვის ცხადი და აშენდებით მომსახურება კავკასიის და საქართველოს დაცვითი ჩადენილი იქნა ამ ქვეენების სიმღიდრის ხელში ჩაგდების მიზნით. ბ. რადეგმა ხომ კიდევ აღიარა ბერლინში, რომ «სოვეტებმა» საქართველო დაიკურეს «ნავთის გასავალ გზის» ხელში ჩასაგდებათ!

საქართველო ცნობილია იურიდიულათ განათლებულ სახელმწიფოთა უმრავლესობისაგან და თვით რუსეთისაგანაც, რომელმაც საჯაროთ აღიარა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულობით, რომ იგი სცნობს საქართველოს სახელმწიფოს სრულ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. და საქართველოს ხალხს უნდა მიეცეს თავისუფლება თვით განავოს თავის ბედი.

ამ ქვეენის განთავისუფლება რუსის ჯარებისაგან აუცილებელი მოთხოვნილება კიდევ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის აღსადგენათ. მართლაც ერთი მხრით საქართველო არასოდეს არ შეურიგდება მოსკოვის უდელს, და სანამ რუსის ხელისუფლება იბარონებს კავკასიაში და კერძოთ საქართველოში, არავითარი ხანგრძლივი მშვიდობიანობა არ დამყარდება კავკასიაში, და არც მცირე აზიაში. მეორე მხრით როგორც მეფის რუსეთი თავის მილიტარისტული მიზნებისთვის სარგებლობდა კავკასიით, როგორც სამხედრო ბაზით თავის გავლენის გასავრცელებლათ შეირე და შიდა აზიაში, ისე დღეს ბოლშევიკური მთავრობა ცდილობს ამ რაიონებიდან თავის გავლენისგ ავტოლებას. ეკონომიკური თვალსაზრისით, თავის გეოგრაფიული მდგომარეობის გამო საქართველო რომელსაც თავის შარაგზებით, რკინისგზებით, ნავთსადღინით, ნავთსადგურებით ხელთ უპრინა გამოსავალი კავკასიის და მისი მეზობლების ნავთის და სხვა ნაწილობრების, თვით ბუნებით მოწოდებულია იჯევ დამაკავშირებელი ექროპის ბაზრის და ამ მდიდარი ქვეენების რომ ბოლო მოელოს აჯანცებებს და ომებს, რომელიც ხელს უშლიან ყოველ ნაყოფიერ შრომის წარმოებას, უწინარეს ყოვლისა საჭიროა საქართველოს და კავკასიას მიერკონ თავის როლი ევროპის და აზიის შემაერთებელი ხაზის. ეს კი შესაძლებელია ამ ქვეენების განთავისუფლებით და ნეიტრალიზაციით, რაც გზას გაუხსნის იქ ცველა სახელმწიფოებს ისე, როგორც რუსეთს.

ეჭვი არა, რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველომ მოიპოვა სიმპატია მთელი განათლებულინება ცოდნილის. სხვა და სხვა სახელმწიფო ების მთავრობებმა მრავალ-ჯერ გამოუტადეს მას თავის მორალური და-ხმარება. სიტუაციი, წარმოთქმული პარლამენტი, ადრესები, რეზოლუციები მიღებული მის სასარგებლოთ მუნიციპალიტეტების, პოლიტიკური პარტიების, სინდიკატების, კოოპერატივების და სხვადასხვა ასოციაციებისაგან დიდი ძალის და იმედის მიმცემი იყო მისთვის და რამდენათ მნიშვნელოვნი იქნებოდა ხმა ერთა ლიგის, ამ უდიდესი საერთაშორისო სამსჯავროსი!

საქართველოს მთავრობამ ერთ თავის მემორანდუმში, რომელიც გაეგზავნა ერთა ლიგის საზოგადო კრებას უწევაში 1921 წლის სექტემბრში, ასწერა საქართველოს მდგრადირება და სთხოვდა დიდ კრებას აღმაღლებია ხმა «საქართველოში ბოლშევიკების შემსევის და მისი საბჭოთა ჯარებით დაჭრის წინააღმდეგ». ეს თხოვნა სამწუხაროთ უშედეგოთ დარჩა, თუმცა ერთა ლიგის საზოგადოებათა კონგრესმა, რომელიც ამავე უწევაში შეიკრიბა ცოტა ადრე, მიიღო დადგენილება, რომლითაც «დაბეჭითებით სთხოვდა ერთა ლიგის საბჭოს და საზოგადო კრებას მიეღო ჭომები, რომ ერთა თვითგამორჩევის პრინციპით ესარგებლათ საქართველოს საკითხის გადასაჭრელათ». ყველა წემოთქმულის გამო საქართველოს მთავრობას იმედი აქვს, რომ ერთა ლიგა, როგორც ხალხთა უფლების დარაჯი, თავის ხმას აღიძღლებს ამ წარმოუთქმელი აქტების წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინა საბჭოთა მთავრობამ, და გამონახავს საშვალებას თავიდან ააშოროს ტანჯვაქართველ ხალხს, რომელიც საშინელ დიტატურის ხელში ჩავარდნილი, ებრძების მოსეულ მტერს, ებრძების შიმშილს და ეპიდემიებს.

ერთა ლიგის სეკრეტარიატმა გამოუგზავნა საქართველოს დელეგაციას პარაკში მისი თხოვნის თანახმათ, ცირკულიარული წერილი, რომლითაც ერთა ლიგის საბჭომ მიმართა მის წევრებს თანახმათ ნორვეგიის მთავრობის წინადაღების გამო ლონდონში 20 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებისა. საქართველოს ეროვნული მთავრობა, თუმცა ის წევრი არ არის ერთა ლიგის, არ დააყოვნებს წარმოადგინოს ცნობები, რომელსაც ის შეაგროვებს.

ლონდონის კონფერენცია.

იმოლოდ-ჯორჯი და პუანკარე გაიყარნენ და ლონდონის კონფერენცია, დაწებული 7-ს მარიობისთვეს, 14-ს უკვე დაიშალა. ლოლოდ-ჯორჯმა სთქვა: «შევთანხმდეთ იმაზე, რომ ვერ შევთანხმდით;» პუანკარემ ჯვარილების გვირგვინით შეამცირა უცნობი მხედარისა საფლავი ინგლისში და პარიზში დაბრუნდა. მაგრამ პუანკარესა და ლოლოდ-ჯორჯის გაყრდნელ ჯერ არ ნიშნავს საბოლოოთ საფრანგეთისა და ინგლისის გადაყიდებას: საერთაშორისო პოლიტიკა—პურიარ არის რომ გატუდეს, კედარ გამოელდეს, მაგრამ რა ზომამდე მივა ეს დაწყებული «როვეგა» ანტანტისა, ეს მდგრამარებობის სირთულეზე დამყიდებული. პუანკარემ წარადგინა მოსხენება, რომლის ძალითაც, ვერსალის ხელშეკრულობის დარღვევისათვის, გერმანიას ფაქტიურად ეხდება სუვერენიბა (ფინანსების კონტროლი, წარმოების მიმართულებასა და მმართველობაში საფრანგეთის მონარქიულობა, შინაგანი საბაჟოები და სხვ.), მაგრამ ლოლოდ-ჯორჯი ამაში, ხსნისა და ეკროპის დამშვიდებისა და აღდგენის მაგიერ, ხედავს ახალი გართულების მიზეზებს. და ამიტომ წინააღმდეგობას უწევს ამ ზომების მიღებას. პუანკარემ ცოტა დასთმო, მაგრამ კონტრიბუციის გარანტიები მაიც ისე სასტიკად დაიცა, რომ ლოლოდ-ჯორჯიც გაჯიშულდა. რალა თქმა უნდა, უთანხმოება პრემიერებისა, არ არის კიდევ ნიშანი სახელმწიფოთა დაპირისპირებისა, მაგრამ ხაზისასმელი ისაა, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ანტანტას შინაგანმა უთანხმოებამ და კამათმა—ოფიციალური, გარედ გამოსული უთანხმოების ხასიათი მიიღო, ლოლოდ-ჯორჯის სიტვისამებრ. ამ პრემიერების ზურგი უკან არიან სარეპარაციო კომისიები, სამინისტროები, პარლამენტები და უმთავრესად საერთაშორისო ურთიერთობის სირთულენი, რომელნიც ისე ადვილად ვერ «გააღმავებენ» კონფლიქტს, როგორც ამას საზოგადო აზრი და პრესსა გულისხმობს. საფრანგეთის ოფიციოზური პრესსა იცავს და აღმავებს პუანკარეს განცხადებას, იგი აცხადებს, რომ საფრანგეთი იძულებული იქნება «დაიცას მოქმედების თავისუფლება» და თავის ინტერესების მიღებვით მოიცეს. რაზედაც ინგლისური პრესსა და საზოგადო აზრი პასუხს



ალექს, რომ ეს იქნება ვერსალის ხელშეკრულების დარღვევა, რადგან მარტო შეთანხმებით შეუძლიან ანტანტას რეპრესიული ზომების მიღება გერმანიის მიმართ. საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ რომ ვერსალის ხელშეკრულებამ უნდა დაიცვას საფრანგეთის ინტერესები და თუ ყოველთვის მარტო საფრანგეთმა უნდა დასთმოს საზოგადოთ შეთანხმებას აზრი ეკარგებათ. მაგრამ პრესის ასეთ გულაბდილ ლაპარაკს ერთ მხრივ საბუთს აძლევს და მეორეს მხრით საქმეს ანელებს რეალური მდგომარეობა ამ ქვეყნებისა.

ინგლისის და საფრანგეთის ძირითადი თანხმობის ჩაშლა, მოასწავებდა არა მარტო ამ სახელმწიფოთა მდგომარეობის დასუსტებას, არამედ მთელი ევროპისა და ამერიკის ჩათრევას ხელმოწერე და უფრო სასტიკ კონფლიქტების რიგში. ინგლისი უკანასკნელი ომიდან გამოვიდა ნაცად გზაზე: უდიდესი კონკურენტი მსოფლიო ბაზარზედ, გერმანია, დასცა და ფლოტი გაუნადგურა. დღეს უძლიერესი ქვეყანა ჯარით არის საფრანგეთი ხოლო ფლოტით ამერიკა უთანასწორდება ინგლისს. საფრანგეთისა და ამერიკის ფლოტი ერთად ალემატება ინგლისისას, რაც უკვე საპიტათოა ინგლისის საუკუნოებით განმტკიცებულ მდგომარეობისათვის. მეორე მხრით საფრანგეთი, როგორც არა მრეწველობის, არამედ «რანტიერობის» ქვეყანა, უკიდურეს განსაკულეობის ჩავარდება, თუ გერმანიამ კვლავ თავი აღიმალდა და ამიტომ გერმანიის ვალის გადახდა და მისი დასუსტება სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია საფრანგეთისათვის.

ინგლისი აშკარათ სცდილობს აღადგინოს თავისი უწინდელი «ბრწყინვალე იზოლიცია» და ევროპის კონტინენტზე შექმნას ძალთა წინა-სწორობა ისეთი, რომელიც ერთმანეთს გაანელებს და მას აბატონებს დევლებურად ზღვაზედაც და საერთაშორისო ურთიერთობაში. მაგრამ აქ ერევა ახალი ფაქტორი—ამერიკის ფლოტი და მსოფლიო პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს საფრანგეთს ინგლისის შესასუსტებლად.

აი ეს როგორ მდგომარეობა და მძიმე არგუმენტები ფრთას აკვეცს პრესისა და საზოგადოების აღტყინებას, რომელიც, შესძლე-

ბელია, უფრო მოსახლოვებდა კონფლიქტის გამოცხადებას. რემა,

შენიშვნა. წერილი აწყობილი იყო, როცა უკანასკნელი ცნობებით, სარეპარაციო კომისიამ გამოიქვება კომპრომისი და გერმანიის გადასახდელი ენკვენისთვისა და ლეინბირბისთვისა უნდა შეიცეს ბელგიას ქალალდის ფულით და ბელგია თითონ უნდა მოურიგდეს გარანტიებდება გერმანიას და, მაშასადამე, პუნქარეს მუქარა გადაიღო ორი თვით.

ოსმალეთ-საბერძნეთის რაი.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საბერძნეთი ჯერ კიდევ ბალკანეთის ომში იღებდა მონაწილეობას და დიდი ომის დროსაც ჩაითრიეს ბრძოლაში შეთანხმების სახელმწიფოებმა და 1910 წლიდან ოსმალეთსაც განუწიველები ომი ჰქონდა ჯერ იტალიასთან, მერე ბალკანეთის სახელმწიფოებთან, შემდევ დიდი ომი და ახლა საბერძნეთთან,—გამოდის რომ ეს ორი ხალხი პერმანენტულ ომს აწარმოებს და ერთმანეთის დასუსტებას სხვის გასახარებლად ბოლო არ უჩანს. მაგრამ უკანასკნელი ორისამი წლის უსისტემო ბრძოლა ოსმალეთისა და საბერძნეთისა—უკვე ომხაც აღარა ჰგავდა. ხან ერთი მხარე შეუტევს და გაიფანტება ხევის წყალივით ძალაგამოლეული, ხან მეორე მიიტანს იერიშებს და ჩაქრება გრძელ ფრონტებზედ. მდგომარეობა თითქმის უცვლელი რჩებოდა და ყოველ შემთხვევაში საბოლოო სახეს ეყრ იღებდა. არც ომი იყო არც ზავი. მართლია, საბერძნეთს ეჭირა მცირე აზის კარგადიდი ნაწილი გალიპოლის გადასწვრივი მხარე და სმინის არიონი ბრუსამდე და ერთ დროს ეჭირა აფიონ-კარაგისარი, ესკი-შეირი და ზარზან თითქმის ანგორამდე ჩაალწია მისმა ჯარმა, მაგრამ სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში ქემალ-ფაშამ დაახევინა უკან, და დაიჭირა ესკი შეირ-აფიონ-კარა-გისარის ხაზი ბილიჯიკი-ისმიდამდი და ბრუსამდე. ისე რომ ბერძნები იძულებული იღენენ დრაკიაში გადაცვნილი ჯარი «კონსტანტინეპოლის ასალებად» რომელზედაც ამას წინად იერიში მიიტანეს», —უკან გადაესხათ აზიაში და საჩქაროთ რეკვიზიცია მოეხდინათ ამისათვის სტამბოლის ტრანსპორტებისაც კი.

ორი წლის წაჯეუკუჯექობა სრულდება ოსმალეთის სრული სტრატეგიული გამარჯვებით, ქემალ-ფაშას ჯარებმა დაიჭირეს არა მარტო გამარჯვებული ხაზი და რკინის ქსელი აფიონ-კარაპისარ—ესკი - შეირ—ბილეჯიკი—იზმიდი, არამედ აღებულია სმირნაც და საბერძნეთის ჯარი გადარევილი ზღვაში ან გალიპოლის გასწვრივ ნეიტრალ ზონაში.

დამარცხებამ უკვე აქტივინა ბერძენებს, რომ დასცლიან მთლად მცირე აზიას და მიმართეს საშუალებრივი ინგლისმა, რომელმაც ჩაითრია დიდ ომში და დიდი ომის შემდეგაც აბრძოლებდა განუწყვეტლივ ქემალ-ფაშასთან, რომელმაც ლოიდ-ჯორჯის პირით ჯერ კიდევ ერთი თვის წინად აღუთქვა სრული განადგურება ისმალეთისა, დღეს ულოცავს ანგორის პარლამენტს გამარჯვებას და სთხოვს დროებით ზაგეს, რომ ბერძნებმა ჯარებისა და მოქალაქეთა გაყვანა შესძლონ დროზედ და «ტეუილა უბრალოდ სისხლი აღარ დაიღვაროს».

ამ რიგად ინგლისი აქაც, საუკუნებით შემუშავებული მეთოდით, ადასტურებს fait-accomplie, როცა სხვისი ხელით ნარის გლეჯა ვეღარ უხერხდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქემალ ფაშას გამარ-

ჯვება ღიდს აღფრთვანებას იწვევს სტამბოლში (დროშები, ლოცვანი, ზეიმები, დემონსტრაციები, ფანჯრების მცირევა და ს. ს.), საუკაეპიურათ მეორე ისმალური მთავრობაა ვითომ და მოწინააღმდეგ ქემალისა. მაშინ როდესაც საბერძნეთში კარასტროფიულში დამარცხებამ გაამწვავა ძველი შინაური ბრძოლა მეტისა და ვენიზელოსის მომხრევებს შორის. მეორე კონსტანტინები, როგორც იუწიების, იუსტიციებული გახდა გაქციულიც და ვენიზელოსი თავის მომხრევებით გადასულა მცირე აზიაში, რომ აღაფრთოვანოს დარჩენილი ჯარები ქემალის წინააღმდეგ. ამაში მისი პროტეგიონი, ინგლისიც, ხელს უწიობს და შესძლებენ თუ არა გამარჯვებული ტალის შექრებას, რომელც უკვე მოითხოვს ფრაკიის (ცენტრალურ კონტინენტზე) განთავისუფლებასაც — სულ აქლო მომავალის საქმეა. კოველ შემთხვევაში უნდა მოველოდეთ საბერძნეთის შეინით დიდ ცვლილებებს: შეიძლება მეტე კონსტანტინეს მოუხდეს ისევ დატოვება, ამ ყამათ საბოლოო თავის ტახტისა. ვენიზელოსის მომხრეთა ამორჩავება ფრანგიზე და მთელ საბერძნეთში, და ხმები ათინიდან მეტის გაპარვისა — ამის მომასწავებელია.

საქართველო და ეპროკა.

საქართველოდან წამოსულისას.

ბელგიის განერალი კუოპერაცია — ში დაბეჭდილია საქართველოში ნამცირ ვიქტ. სერვის წერილი, რომელიც გადმოგცემს ევროპილის საყურადღებო შთაბეჭდილებას ბოლშევიკური წესებისაგან. მოგვავს ეს წერილი, რომელიც მისი დღიურიდან არის ამოღებული:

23 ივნისი, 1922 წ. შავ ზღვაზე.

თავისუფლება! გუშინ საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე ამოვეღი იტალიის გემ აღრიაზე შემდეგ იმისა რაც 5 საათი ვიცდიდი ღებზე მდგომი, სანამ ვიზის რიგი მომიწევდა, სანამ გამიშვებდენ. აქუარესა, ვინემ ნემცუბრთან იყო. ჯერ რიგში ვიდექი ქუჩაზე, შემდეგ პასპორტით აღჭურვილი გავეშურე გემის ბილეთის ასაღებათ, შემდეგ ექიმის მოწმობა წარვალინე, რომ ხოლება აცრილი მაქვს, 10 და 18 ივნისს, და მხოლოდ შემდეგ გმიშვეს გემზე დასაჯდომათ. აქამდე

კი ვიგავ დია ჰაერზე, გარშემორტცმული ბაგაით, ტომრებით, შეკვრებით საბრალო ემცანებით, ხალხით, მათი ჩრებით, მრავალ ნივთებით, რომელთაც სახელი არა აქვთ, შეწუხებული ჯერ მრავალი ბრტყებისაგან, შემდეგ აბეზარი სალდათების ხიშტებისაგან, შემდგა საკუვი სახიანი, საკუვი ტანისამოსიანი და არა საიმედო გამომეტეველების ხალხისაგან, ბინძურ ჩეკისაგან რომ მოვიდენ... ამ საათებს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ.

ჩემი რიგი აღწევს. ვიწრო და დაბალი კარებით შეგვყარეს მუჯლუგუნების ცემით ერთ ეზოში. ეს კარები ძნელი გასავლელია, განსაკუთრებით ორი ჩემოდანით ხელში. მე კი მარტო დავრჩი. ჩემი თანამხლები უკან ჩამორჩა. არავინ იყო, რომ ჩემთვის თარჯიმნობა გაეწია, წარვუდგინე ჩემი პაროტი, და დაიწყო გაშინჯვა. «გადმოაბრუნეთ თქვენი ჯიბები! გადმოგვეცით პორტფელი. პო! პო! რამდენი

ფულებია! რამდენია სულ? 2,000 ტრანკი? ეს აკრძალულია». ყოველივე ეს იქნა თქმული რუსულათ, ცოტა გერმანულის და ინგლისურის ჩარევით. უნდათ ფული ჩამომართვან. არას შემთხვევაში, მე პროტესტობი ვაცხადებ. ჩარა, არა! ფული მესაჭირობა უკან დასაბუნებდათ, მე დელეგატი ვარ ინტერნაციონალურ კოოპერატივთა კავშირის. დავა გრძელდება 5 წელს. ისინი ცირისან, მეც ვცირი. «წაიღეთ და გასწიოთ ეხლავე» მეუბნება ერთი რუსი ოფიცერი, რომელიც ჩემს უკან დგას. მარა დასასრული ჯერ კიდევ შორსაა. იწყება ნივთების და თვალიერება. მათ ჩერეკენ, აფორიაქებენ ჩემ ორ ჩემოდანს. ნერა გათავდა? აი ჩამაცენს ორ სალდათს შუა გემზე გასაცილებლათ. მარა ჯერ კიდევ არ თავდება გასაჭირო! კიდევ უნდა უცუადორიგს, ვიზას. უნდა გადაიხადო ბაჟი დამშეულ რუსების სასახელებლოთ. და მხოლოდ შემდეგ მიშვებენ გემზე. აა! თავისუფლება! ამოვისუნთქე! მარა რას შერება ჩემი ამხანაგი! მას ბევრი ფული აქვს თან. მთელი საათი ვუცდი, მგრამ ის არსად სჩანს. წამოსვლა გადაწყვეტილია! მე მეტი ალარატერი საქმე მაქვს საქართველოში. მე ვნახე, მე გავიგე ცოველივე. ერთი თვე მიემატა კიდევ იმ 52 თვეს, რომელიც გერმანიის უკუპაციის ქვეშ გავატარებელგიაში! ქართველებს კი სურდათ კიდევ რამდენიმე თვე დაგრჩენილიაც მათთან. მათი ქველა—ეს ერთი დიდი საპურობილეა. და ამას გარდა ჩემი მოგზაურობა მათ ქვედანაში არ იყო მოყლებული უხერხულობას. ერთა ან ორი კომუნისტის განუშებელელი თანხლება ხშირათ მაგდებდა უხერხულ მდგომარეობაში, როცა პასუხი უნდა გამოეცა ერთსა და იმავე კითხვებზე, რომელსაც მისვამდენ ცველგან: იცის ეგრძობა ჩენი გასაჭირო! ესმის მას ჩენი ზნეობრივი ტანჯვის ჩმა? რა უნდა ვქმნა, რომ დავიბრუნოთ ხელახლა პოლიტიკური დამუუკიდებლობა, რომელიც აუცილებელია ჩენი ძეირფასი კოოპერატივის განვითარებისათვის? და რას იჩამს ეგრძობა თუ....? და მე ვუპასუხე: იმედი იქნიე, ევროპის დემოკრატია თქვენთანაა და მას ექნება საკმაო გავლენა, რომ შესაფერ მომენტში კაპიტალისტურ მთავრობებს უზრადება მიაქცევიოს თქვენი საკითხების. სწორე რომ ვთქვათ, მე გათუმში ჩამოხტო-

მისათანავე ვიგრძენი, რომ აქ იქნა ჩემთვის კუპაცია, ჩეკა, ჩერეკა, სალდათები, საპრობილები, სიბინძურე, მოუხეშავი მოპეტობა და სხვ. არცება ჩემთქმა მარტივი საზოგადო კრებები! დას, იმ დღიდან ჩოცა შეეღვი ფეხი საქართველოს მიწა-წიალზე, მე ვიგრძენ, რომ რაღაც სამძიმე დამაწვა მხრებზე, რაღაცამ შებოჭა ჩემი გონება, შემისუთა სულთქმა. ეს იყო ჩემთვის განმეორებით განცდა გერმანიის კუპაციის.

და ჩემი აზრი მიიღონავს ჩემს თეილისელ მეგობრებთან, რომელიც ცოველ დღიურათ იბრძუან კომუნისტთა ტრიუნიის წინააღმდეგ, გლეხ-კოოპერატორებთან, რომელთაც ბოლშევიკების მძიმე ულემა კიდევ შეაყეარათ უფრო, ვინემ ღდესმე, თავისუფლება თავის ქვეყნის, ამ მშენებირი, ამ კარგი საქართველოსი, რომელიც მოსკოვმა გააღარა და დასტანჯა.

კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი არსებობს კიდევ? მისი მუშაკი ჯველანი ცისქი რომ არ გაუგზავნიათ უკვე?

და საერთაშორისო კოოპერაცია ნუ თუ არ აღიმაღლებს ჩმას პროტესტის გამოსაცავებლათ? ნუ თუ დაუშვებს ის, რომ ასე დაახშონ ცოველივე თავისუფლება? არა ის იტევის თავის სიტევას.

ეგრძობამ უნდა იცოდეს. მივეშურები მისკენ. ორ დღეში მივაღწვევ კიდევ კონსტანტინეპოლის და შემდეგ....

8. სერვი.

„საქართველო“

აგსტრიის მუშათა რადიკალების უზრნალ „დი ვაგე“-ში დაბეჭდილია ჭავ ჰანდაკის შემდეგი წერილი:

«არის სიტევები, რომლებიც მსოფლიო სინიდისისათვის საკვირის ჩმათ იქცევიან და თავისი ძლიერი შინაარსით კაცუბრიობას ზნეობრივ ნებისყოფას ისტორიული შემოქმედების სიძლიერეს სძენენ. როცა მარატცებების შემდეგ სპარსელი მეტე დარიოსი თავის მონას ამეორებიებდა ცოველ დღე სადილის წან გამატრთხილებელ სიტევებს: «მეღვე, გახსოვდეს ათინებილები!»-ო, ეჭვი არა, ეს იყო მეტი, ვინემ ღდესპოტი ადამიანის შურისძების კუნი; ეს იყო სიმბოლიური გამორატულება აღმოსავ-

ლეთის და ევროპიულ კულტურათა დავის გა-
დაწყვეტის დასაწყისისა. როცა მე-19 საუკუნის
დამდეგს გაისმა პაროლი «საბერძნეთი!», რო-
მელმაც კვლავ განაცხველა ევროპის ჯველა
მოქმედი იდეალისტური ძალები, ესეც იცო
გაცილებით მეტი, ვინემ, ვთქვათ, ლორდ ბაირო-
ნის მსოფლიო მოქალაქეობრივი აღმაფრენა; ეს
იყო ნიშანი ეროვნული რევოლიუციების ქა-
რიშალის, რომელიც შეელი მე-19 საუ-
კუნის შინაარსს შეადგენს. და, ბოლოს. რო-
ცა მსოფლიო ომის დროს პანრი ბორბისმა
ადამიანთა გაწამებულ ლიტებას ახალი ცხვე-
ლი ძალა შესძინა თავის რომანის, «ცეცხლი»-ს,
იმ საუცხოვო ადგილით, რომელიც ამოახილ:
«ლიბკერტ!»-ით თავდება, ეს მოასწავებდა არა
მარტო ერთი კაცის პირად თავგანწირულებას,
არამედ იმ იდეის სიძლიერეს, რომელიც მო-
ლი თავისი ძლიერებით ჩრდილავს სულით მებ-
რძოლ კაპიტალიზმს და შორიდან აცისქოვ-
ნებს ახალი ქვეყნის მოვლინებას: ეს არის სო-
ციალური რევოლიუციის იდეა. ჯველას ეგონა,
რომ რუსეთი იცო მოწოდებული ამ დიად მემ-
კვიდრეობის მისაღებად და ყველა ქვეყნის მრა-
ვალი მიღიონი ჩაგრულნი აღტაცებულნი და
იმედით აღსავენი ეგებებოდენ აღმოსავლეთით
მოვლინებულ ნათელს... მოლოდინი აუსტრულე-
ბელი დარჩა და ამ მოლოდინის გატრუებას
თან ერთვის ის ღრმა ტრადიციული სიმწარე,
რომ სწორედ ის ქვეყანა, რომელსაც მიკუთვ-
ნებული ჰქონდა მსოფლიო სინიდისის როლი,
დღეს ბრალდებულად გამხდარა მსოფლიო პრო-
ცეტარიატის წინაშე, რომელის სმენა შეპირო-
ბილია მსოფლიო სინიდისის ციინით: «საქარ-
თველი!»

ისტორიის მსვლელობაში ძალადობისა და
ბარბაროსობის წინააღმდეგ ხშირად აღიმაღ-
ლებს ხოლმე ხმას ადამიანური თანაგრძნობა.
სწორედ ჩვენს დროში ამის მაგალითი მოგვცა-
გენ. ჰორტის უნგრეთის ყაჩაღურ და სისხლში
მოსვრილ ძალადობის რექიმის წინააღმდეგ ყვე-
ლა ერთა მასების ამხედრებამ: ის რკალშემო-
ვლებულ იქნა არა მარტო ფინიკური ბლოკა-
დით, რომელიც საერთაშორისო მუშათა სინ-
დიკატების კავშირებმა ეკონომიურ ბლო-
კადაში გამოიხატეს; არამედ აგრეთვე მო-
რალური ბლოკადითაც, რომელიც გამოიხატე-
ბა უნგრეთის უხმოდ, მაგრამ სრულიად საგრ-

ძნობლად განათლებულ ქვეყანათა კულტუ-
რულ ოჯახიდან გარიყვაში, რომელიც ბოლოს
და ბოლოს აიძულებს მას ნელნელა დაუახლო-
ვდეს რამოდენიმედ მაინც მართვა-გამგეობის
ადამიანურ წესებს. მაგრამ აქამდე ისტორიის
მსვლელობაში არასოდეს ჰქონია ადგილი იმ
სამწუხაო მოვლენას, რომელსაც ადგილი
ჰქონდა საქართველოში: აյ თავისუფლება და
ისტორიული წინსვლა უდიდესად ფეხვეუბენი
იქნა არა იმათგან, ვისაც თავისთვის ინ-
ციპად შეგნებული და გარკვეული კონტრ-რე-
ვოლიუტი გაუქდია, არამედ სწორედ იმათგან,
ვინც რევოლიუციურ პროლეტარიატს სწორედ
იმავე თავისუფლებას და იმავე ისტორიული
წინსვლის მატარებლათ და მოციქულებათ მია-
ჩნდა; სწორედ ეს თავისუფლება და ეს წინსვ-
ლა ისევე ჩაახსი მოსკოვმა, როგორც ამას
რომელიმე ჰორტი ან რომელიმე დენიკინი სჩა-
დოდა. ტირანიული მართვა აუცილებლად თან-
სედეს კლასებათ დაკონფილ საზოგადოებას და
აუცილებელი იქნება, სანამ კლასები არსებო-
ნენ; საჭირო იქნება აგრეთვე იმ გარდამავალ
ხანაში, რომელიც გაივლის პროლეტარიატის
მიერ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ხელში
ჩაგდებილა კლასების მოსპობამდე. მაგრამ კი-
თხვა იმაშია, თუ ვის წინააღმდეგა მიმართული
ტირანიული მართვა-გამგეობა: რომელიმე სხვა
კლასის წინააღმდეგ, რომელიც ახალ წყობილე-
ბას ებრძვის, თუ საკუთარი კლასიური ამხანა-
გების წინააღმდეგ. ამ თვალთახედვით თუ შე-
ვხედავთ საქმეს, ჰორტის ბოროტმოქმედება
უფრო «მორალურია», ვინემ ის ძმისმკვლელო-
ბა, რომელიც საბჭოთა რუსეთმა ჩაიდინა სა-
ქართველოსადმი!

პროლეტარულ ინტერნაციონალის თვალში
მოსკოველ მმართველთადმი სიმპატია იმზიმა-
ნდე არადერს შეუჩევევია, როგორც ამ გარა-
მებამ შეარყია.»

შემდეგ ავტორს მოაკეს ცნობები საქართვე-
ლოზე თავდასხმის, რომელიც ჩვენმა მკითხვე-
ლმა იცის, და აյ აღარ განვითორებთ.

შევიცარიის ს. უ. და საქართველო.

ბლოლევეკური უგარისის-გან გამომთელება
და მოსკოვის დიქტატორთა ნამდვილი სახის
გარკვევა ყველგან—პირველ რიგში საქართვე-
ლოს სეკიონს აყვენებს. იგი ხდება მთავარი სა-

დაო საგანი. რასაკვირველია მნიშვნელობა აქვს
კომუნისტების შოქმედებას შიდა რუსეთშიაც.
მაგრამ ყველაზე აშკარა და მკაფიო ფაქტი მა-
თი ანტი-დემოკრატიული, ანტი-რევოლუციულ-
რი მოქმედების—ეს საქართველოს დაპრობაა.

ამ ყამათ ასეთი კამათია საქართველოს შესახებ შეიცავისაზე, სადაც მუშათა პარტია დღემდე ერთიანათ $2\frac{1}{2}$ ინტერნაციონალს ემსრობოდა და მოსკოვისკენაც ძლიერ იჩრებოდა. აქ იდგა საკითხი მესამე ინტერნაციონალთან შეერთების და ამ აზრს მეტაც მნიშვნელოვანი რიცხვი ყავდა მომზრე შეკავშირებულ მუშათა მასაში.

